

ნაპო კვარაცხელია

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ერი და მსოფლმხედველობა

ერი ადამიანთა მოდგმის უნიკალური წარმონაქმნია და ამასთანავე კაცობრივი არსის ინდივიდუალური გამოვლინება. სწორედ ეს განსაზღვრავს მის მეტაფიზიკურ „ადგილს“ სამყაროს ბუნებითა და ადამიანურ წყობაში. არ არსებობს ამქვეყნად უფრო დიდი ღირებულება ვიდრე, ერად ყოფნის ღირებულება. ინდივიდის მიერ საკუთარი ერი და ეროვნული ყოფიერება ყოველთვის განიცდება და მოიაზრება აბსოლუტურ, უპირობო და თავისთავად რეალობად, მისი პიროვნული ცხოვრების საზრისად.

ყოველი ნორმალური ინდივიდი, თუ ის გადაგვარებული არ არის, თავის თავს მიკუთვნებს არა უშუალოდ კაცობრიობას, არამედ გარკვეულ ერს: ადამიანი იბადება ესპანელად, ჩინელად, ინდოელად, ქართველად და ა.შ. ჩვენი მიმართება სამყაროსა და კაცობრიობასთან, საერთოდ „კაცობრივ არსთან“ ჩვენივე ეროვნული ყოფიერებით არის განსაზღვრული და გაშუალებული, და ინდივიდი სამართლიანად ამყობს ამით. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე მაძლობს სწირავს ღმერთებს და ბედისწერას, რომ ელინად გაჩნდა და არა ბარბაროსად, – არაელინად; იგი დიხაბაც ამყობდა თავისი ელინობით.

თუმცა ყოველი ინდივიდი თავის თავს მიაკუთვნებს გარკვეულ ერს, მაგრამ „მიკუთვნება“ აქ არ ნიშნავს თავისუფალ არჩევანს. მეტაფიზიკური აზრგაგებით ინდივიდს მისი ეროვნული ყოფიერება მუდამ მზამზარეულად გარედან ეძლევა.

ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსების სიტყვებით, რომ ვთქვათ, ადამიანი თავის თავს პოულობს არა მხოლოდ „სამყაროში მყოფად“, არამედ, ამასთანავე, გარკვეული ერის კუთვნილებად. ჩვენი ეროვნული ყოფიერება ჩვენსავე დაბადების მოწმობაშია ჩანერილი. ამა თუ იმ ერისადმი ინდივიდის მიკუთვნებულობა ბედისწერისეული გარდაუვალობაა და არა თავისუფალი არჩევანის შედეგი. „მამულიშვილად“ და „ერის შვილად“ ყოფნა ეს ინდივიდის ბედისწერაა. ამიტომაც მამულისგან განდგომა და ერისაგან განყენება ისეთი დანაშაულია, რომლისთვისაც, ზნე-

ობრივი თვალსაზრისით, პრაქტიკულად არ არსებობს სასჯელი. იგი თვითმკვლევლობის ტოლფარდია. მოლაღატისთვის მოკვდინება ხსნა უფროა, ვიდრე სასჯელის უმაღლესი ზომა. ძველად, ღალატი ისჯებოდა არა მოკვდინებით, არამედ სამშობლოდან გაძევებით (ოსკრატიზმი – ძველ საბერძნეთში; თემიდან მოკვეთა – მთის ხალხებში).

ერი ისეთი განსაკუთრებული ერთობაა, რომელიც გარდა გენეტიკურ-ნარმომავლობითი და სულიერ-კულტურული ერთობისა, საეთო ისტორიული თავგადასავლის ქონას, ისტორიული ბედის ერთიანობას ემყარება. ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძეს ერის ყველაზე არსებით და განმსაზღვრელ ნიშნად მიაჩნია: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულობას, თავის ვინაობას, თავის თვისებას. ჩვენი ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეხს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“ („ოსმალოს საქართველო“).

ამიტომ, ილიას აზრით – „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივინყებს; როგორც კაცად არ იხსენება ის მანანალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“ („დავთ აღმაშენებელი“).

ერის ნიჰილისტური თეორია (მაგ.: მარქსიზმი) ერს ისტორიულ კატეგორიად განიხილავს და, შესაბამისად, მისი წარმომავლობისა და გაქრობის შესაძლებლობას ქადაგებს. მაგრამ ისტორიზმსა და ისტორიაში ყველაზე ღირებული ის არის, რაც მარადიულ-უცვლელი და ზეისტორიულია. ბიბლიური წარმოდგენის თანახმად, რომელიც ბაბილონის გოდოლის მშენებლობის მითშია გადმოცემული, ერებისა და ენების გაჩენა ზეისტორიული ღვთაებრივი აქტის შედეგია. ერი, ღმერთის ქმნილებაა და ამიტომ ისევე მარადიულია, როგორც თავად ღვთაებრივი არსება. მაშასადამე, ერს უსათუოდ გააჩნია გარკვეული მარადიულ-უცვლელი სტრუქტურა, რომელიც მის სუბსტანციურ და საკუთრივ ეროვნულ სანყისს შეადგენს. ამ სანყისის ყველაზე არსებითი ელემენტია ენა.

ეროვნული სუბსტანციის ეს ზეისტორიულ-მითოსური სანყისი უპირველეს ყოვლისა ენაშია მოცემული. ენა, ეროვნული კულტურის ის სტრიქონია, რომელიც თანაბრად განსაზღვრავს, როგორც

მის სულიერ-გონით, ისე სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას, მთელს მის მსოფლმხედველობას და, საერთოდ, სამყაროში ყოფნის მისეულ წესს. ენა არის სწორედ ის მითოსური ფენომენი, რომელიც ერს ისტორიული დროის ნებისმიერ მომენტში, თავის უძველეს და უპირატეს საწყისთან ამყოფებს, და თანაც იმგვარად, რომ ეს საწყისი მუდამ მისი თანამედროვეა. შემთხვევითი არ არის, რომ ბაბილონის გოდოლის მითი ერთიანი კაცთა მოდგმიდან სხვადასხვა ხალხების წარმოშობას ენათა აღრევას და ერთი ენიდან მრავალი ენის აღმოჩენებას უკავშირებს. ყოველ ეროვნულ ენაში სამყარო თავისებურად არის აღქმული და დანახული, ასახული. იგი გარკვეული მსოფლხედვაა (ვ. ჰუმბოლტი). ერის ყოფიერებისათვის ენა იმდენად დიდი ფენომენია, რომ ჰუმბოლტის აზრით, ადამიანს არ შეეძლო შეექმნა ენა უბრალოდ იმის გამო, რომ თავად ენამ შექმნა ადამიანი. შეიძლება ითქვას, რომ ენა ეროვნული ყოფიერების ღვთაებრივი საწყისია.

„ერი არ მოკვდება, თუ თავს არ მოიკლავს“ – ამბობს ბერგსონი. ყოველი ერის ბედი მის ხელთაა. ერის სულიერ-გონითი სიცოცხლის უნარიანობა და მეტაფიზიკური უკვდავება იმაზეა დამოკიდებული, თუ ისტორიული დროის ყოველ მოცემულ პერიოდში რამდენად ინახავს და ინარჩუნებს თავის საკუთრივ ეროვნულ საწყისებს. სწორედ ამაშია ჭეშმარიტი ნაციონალიზმისა და კონსერვატიზმის დედააზრი. ე.წ. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მესვეურები სწორედ ამიტომ ებრძვიან ასე თავგამოდებით ერების დამოუკიდებლობის იდეას და მათი უსახო და ამორფულ „კაცობრიობად“ უნიფიცირებას ქადაგებენ. თუ ერს თვითმკვლელობა არ გადაუწყვეტია და ნამდვილი თვითმყოფადობა განუზრახავს, მან საკუთარი არსებობის პრინციპად უნდა აქციოს: წინ – საკუთარი საწყისებისაკენ!